ხელშეკრულება № 17
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ჭიათურა 5 ივლისი 2017 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვითორის საჯარო სკოლის (შემდგომში „შემსყიდველი“) (მისამართი ჭიათურა, სოფელი ღვითორი, ს/კ 215606645, სს „საქართველოს ბანკი“ ჭიათურის ფილიალი, ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის № GE22BG0000000119207400) წარმოდგენილი მისი დირექტორის სოზარ კუპატაძის სახით და მეორე მხრივ შპს „ტაინა“-ს წარმომადგენელს ვასილ გეთიაშვილი (შემდგომში „მიმწოდებლად“) (მისამართი; ქ.ქუთაისი მზუხაიძის ქ. 2 მ/რ, ს/კ 412700536 „თიბისი“ ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE24TB7906936080100004) შორის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე: 2017 წლის 13 ივნისს „შემსყიდველმა“ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე **NAT170006503** სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, კლასიფიკატორის კოდი CPV45400000 და მიჩო მიმწოდებლისგან წინადადება თანხით 14279 (თოთხმეტიათას ორას სამოცდაცხრამეტი) ლარი დ.ღ.გ.-ს გარეშე

1. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

1.2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ინფორმაცია სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ და ხარჯთაღრიცხვა;

გ) სამუშაოების შესრულების ვადები;

გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.3. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ''(შემდგომში _ ,,ხელშეკრულება'') _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. ,,შემსყიდველი ორგანიზაცია,, (შემდგომში ,,შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.6. ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.7. ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვითორის საჯარო სკოლის სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა(CPV-45400000);

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2017 წლის 5 სექტემბრამდე.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 16849,17 (თექვსმეტიათას რვაას ორმოცდაცხრა) ლარი და 17 თეთრი (დღგ-ს ჩათვლით).

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.2. საგარანტიო მომსახურების პირობები: ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებზე ვრცელდება 3 (სამი) - წლიანი გარანტია. შესრულებული სამუშაოს ნაკლოვანებები, რომლებიც წარმოიშვებიან მომხმარებლის ბრალეული მიზეზების გარეშე, უნდა აღმოიფხვრას მიმწოდებლის მიერ უსასყიდლოდ. ნაკლოვანების გასწორება უნდა მოხდეს გამოვლენიდან არაუმეტეს 10 დღისა .

6. მომსახურების მიწოდების წესი და ადგილი

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ჭიათურა, სოფელ ღვითორი, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვითორის საჯარო სკოლა.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული სამუშაოების დასრულების ვადაა ზემოთ მითითებული **თარიღიდან 2017 წლის 4 აგვისტომდე.**

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული სარემონტო სამუშაოები ხარისხიანად.

7.2. თუკი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ჩატარებული სამუშაოები არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია 2.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულოს ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს;

7.5. შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების სრულყოფილად მიწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7.6. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

8. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ჯამური (დამატებითი ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშ-ფაქტურაზე ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტზე მიუთითოს ხელშეკრულების ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ანგარიშ-ფაქტურა ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი.

8.3. შემსყიდველი საბოლოო ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმების (მიღება-ჩაბარების აქტი ფორმა №2), დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტის და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს. საექსპერტო მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება ფაქტიურად გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების დანართი N1-ის 137-ე პუნქტით დადგენილი ტარიფის ზღვრული ოდენობისა. შემსყიდველი უფლებამოსილია ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე შესრულებულ სამუშაოზე შეაჩეროს საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით. საბოლოოო ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებაში მითითებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

8.4. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ეტაპობრივად, ფორმა #2 და დამატებითი ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის (ან შესაბამისი ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი) წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

9. ხელშეკრულების ინსპექტირება

9.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

9.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირია სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვითორის საჯარო სკოლის დირექტორი სოზარ კუპატაძე.

9.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას, მას შემდეგ რაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა (ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტი) და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან საბხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია სარემონტო სამუშაოების სრულად ან ნაწილობრივ შესრულება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

12.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

12.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ მუხლში.

12.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს მომსახურების შესრულებისთვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,5% ოდენობით.

12.4. თუ კი მიმწოდებელი 12.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს საქონლის მიწოდებას, შემსყიდველი ნყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა

შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით წაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

14.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

14.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.5. ხელშეკრულების 14.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

16. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვითორის საჯარო სკოლა ს/კ 215606645 მის: ჭიათურა, სოფელი ღვითორი ტელ: 577 97 74 32 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ა GE22BG0000000119207400 ს. კუპატაძე	შპს „ტაინა" ს/კ 412700536 მის: ქ. ქუთაისი მ. ბუხაიძის ქ.2 მ/რ ტელ: 591-14-34-44 საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი" TBCBGE22 GE24TB7906936080100004 ვ. გეთიაშვილი

სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ღვითორის საჯარო სკოლის მიმდინარე შეკეთება

№	სამუშაოს ჩამონათვალი	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
	2	3	4	5	6	7	8	9
1	მ.დ.ფ-ის კარებებზე შეიცვალოს საკეტები	ც	12	15	180	5	60	240.00
2	რკინის კარებზე შეიცვალოს საკეტი	ც	1	35	35	15	15	50.00
3	იზოალუმინის კარებზე შეიცვალოს საკეტი	ც	1	15	15	5	5	20.00
4	დაზიანებული კედლები გასუფთავდეს ძველი საღებავისაგან	მ²	155.0		0	0.5	78	77.50
5	დამუშავდეს კედლები ფითხით და შეიღებოს წყალემულსიის საღებავით	მ²	155.0		0	3	465	465.00
6	ფითხი	კგ	77.5	0.5	38.75		0	38.75
7	წყალემულსიის საღებავი	ლ	46.5	6.5	302.25		0	302.25
8	გრუნტი	ლ	23.25	5.12	119.04		0	119.04
9	ზუმფარა	მ²	1.40	3.54	4.9383		0	4.94
10	სამასწავლებლოში და 2 საკლასო ოთახში მოეწყოს იატაკზე ლამინირებული პარკეტი	მ²	82.50		0	3	248	247.50
11	ლამინირებული პარკეტი (გეგმანუსი)	მ²	84.98	22.88	1944.228		0	1944.23
12	ლამინირებული პარკეტის დასაგები ლრუბელი	მ²	84.98	0.5	42.4875		0	42.49
13	მოეწყოს ლამინირებული პლინტუსი	გრძ.მ	63.00	1.2	75.6		0	75.60
14	ეზოში ღობის საძირკვლისათვის დამუშავდეს გრუნტი ხელით	მ³	11.3		0	25	283	282.50
15	მოეწყოს რკბეტონის საძირკველი	მ³	22.5		0	8	180	180.00
16	ბეტონის მომზადება ადგილზე ხელით	მ³	22.8		0	7	160	159.86
17	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი ბეტონის მოსამზადებლად	მ³	29.3	17	497.25		0	497.25
18	ცემენტი	ტ	8.2	200	1633.5		0	1633.50
19	არმატურა Ø12AIII	გრძ.მ	600	0.9	540		0	540.00
20	არმატურა Ø6AI	გრძ.მ	975	0.5	487.5		0	487.50
21	ხის მასალა ქარგილისათვის	მ³	1.46	142.05	208		0	207.75
22	ლურსმანი	კგ	9.0	2.12	19.08		0	19.08
23	მოეწყოს ლითონის ბადე	მ²	112.5		0	1	113	112.50
24	ლითონის ბადე დ=2.5მმ უჯრედით50X50	მ²	112.5	2.38	267.75		0	267.75

25	კატანკა დ=6.5მმ	გრძ.მ	225.0	0.5	112.5		0	112.50
26	მილი დ=50მმ	გრძ.მ	76.00	7.5	570		0	570.00
27	მაკეთული შესაკრავი დ=1.6მმ	კგ	2.00	3	6		0	6.00
28	შეიღებოს ლითონის ბადე ზეთოვანი საღებავით 2ჯერ	მ²	112.50	1.75	196.875		0	196.88
29	ზეთოვანი საღებავი	კგ	28.13	7	196.875		0	196.88
30	მოინგრეს დაზიანებული ნალესი შენობის გარე კედლებიდან	მ²	44.0		0	0.5	22	22.00
31	გაილესოს კედლები ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ²	44.0		0	3.8	167	167.20
32	ქვიშა-ცემენტის ხსნარის მომზადება ადგილზე ხელით მ-"100"	მ³	0.97		0	9	9	8.71
33	ქვიშა	მ³	1.17	65.98	77		0	77.28
34	ცემენტი	ტ	0.348	200	70		0	69.70
35	ჰიდროსაიზოლაციო მასალა ქვიშაცემენტის ხსნარში შესარევად	კგ	12.2	6	73		0	73.18
36	გაილესოს ფერდილები ქვიშაცემენტის ხსნარით	გრძ.მ	31.8		0	3.8	121	120.84
37	ქვიშა-ცემენტის ხსნარის მომზადება ადგილზე ხელით მ-"100"	მ³	0.2		0	9	2	1.80
38	ქვიშა	მ³	0.2	65.98	16		0	15.97
39	ცემენტი	ტ	0.07	200	13.6		0	13.60
40	დაიშხეფოს კედლები ცემენტით	მ²	52.00		0	1	52	52.00
41	ცემენტი	კგ	83.20	0.2	16.64		0	16.64
42	ქვიშა	მ³	0.25	65.98	16		0	16.47
43	შეიღებოს გარე კედელი ფასადის საღებავით	მ²	52.00		0	2	104	104.00
44	წყალემულსიის ფასადის საღებავი	კგ	31.20	8	249.6		0	249.60
45	ეზოში მოეწყოს ფრენბურთის ბადისათვის ლითონის მილები	ც	2.0		0	78.42	157	156.84
46	ლითონის მილი დ=100მმ	გრძ.მ	6	17	102		0	102.00
47	ბეტონის მომზადება ადგილზე ხელით მილების დასაბეტონებლად	მ³	0.35		0	9	3	3.15
48	ქვიშახრეშოვანი ნარევი	მ³	0.455	17	7.735		0	7.74
49	ცემენტი	ტ	0.13	200	25.41		0	25.41
50	ფრენბურთის ბადე	ც	1.0	64.26	64.26		0	64.26
51	დაიტვირთოს და გადმოიტვირთოს ეზოში არსებული რკ.ბეტონის არაგაბარიტული ძელები /2 ცალი/ ავტომანქანაზე ამწის გამოყენებით და გაიზიდოს 2კმ-ში	მანქ/სთ	10.0		0	34.72	347	347.20
52	ეზოში მოეწყოს ღობის ფენა 55კგ.მ-ზე	მ³	2.75	45	123.75	10	28	151.25
53	მოეწყოს ბეტონი მ-"200" 55კგ.მ-ზე	მ³	4.40		0	8	35	35.20
54	ბეტონის მომზადება ადგილზე ხელით	მ³	4.40		0	7	31	30.80

55	ქვიშახრეშოვანი ნარევი ბეტონის მოსამზადებლად	მ³	5.85	17	99.484		0	99.48
56	ცემენტი	ტ	1.3	200	269.28		0	269.28
57	სან.კვანძში შეიცვალოს წყალშემრევი	ც	2	35	70	10	20	90.00
58	შეიცვალოს სან.კვანძში შემევალი წყლის ვენტილები	ც	2	6	12	5	10	22.00
59	შეიცვალოს დაზიანებული წყლის მილები დ=50მმ (პლასტმასი) მოხდეს მისი გაყვანა მიწაში	გრძ.მ	8	5	40	5	40	80.00
60	მუხლი დ=50მმ	ც	4	2	8	1	4	12.00
	ჯამი				8846.72		2756.10	11602.83
	ტრანსპორტის დირებულება მასალის დირებულების 2%	2%						176.93
	ჯამი							11779.76
	ზედნადები სარჯები 8%	8%						942.38
	ჯამი							12722.14
	გეგმიური დაგროვება 6%	6%						763.33
	ჯამი							13485.47
	აუთვალისწინებელი ხარჯი 3%	3%						404.56
	ჯამი							13890.04
	დ.დ.გ. 0 %	18%						2500.21
	ჯამი							16390.24
	ექსპერტიზის მომსახურების დირებულება 2,8%	2.80%						458.93
	ჯამი							16849.17

შპს „ტაინა" ს
დირექტორი: /ვ. გეთიაშვილი/

სამუშაოების შესრულების გეგმა–გრაფიკი

#	სამუშაოს დასახელება	დღეები																														
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
1	მოსამზადებელი სამუშაოები																														
2	სამონტაჟო სამუშაოები																														
3	ტერიტორიის დასუფთავება																														
4	მიღება ჩაბარება																														

შპს "ტაინა"-ს დირექტორი: ვ. ხელია შვილი

შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა

სამუშაოს დამთავრებიდან 3 წლის განმავლობაში აღმოფხრას ყველა ხარვეზი, მექანიკური დაზიანებების გარდა.

ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ) ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები;

შპს "ტაინა"-ს დირექტორი: ვ. ბერეთიაშვილი